



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(დედამიწის მეგობრები - საქართველო)

გარემო და საზოგადოება

ენერგეტიკა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე განახლებადი
საინვესტიციო პროექტები



შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	3
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები.....	7
(29 დეკემბერი 2017 წელი)	7
მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე.....	7
კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით.....	8
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე.....	8
აჭარაში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები).....	9
გამოქვეყნებული მემორანდუმები	10
საკადასტრო რუკები	11

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა





ადმინისტრაციული ცენტრი: ქ. ბათუმი

ფართობი: 2 900 კმ²

მოსახლეობა: 336 500 (2015 წლის იანვრის მონაცემებით)

მოსაზღვრე რეგიონები: გურია (ჩრდილოეთით), ახალციხე (აღმოსავლეთით), კარჩხალის ქედი (სამხრეთით), არსიანის მთა (დასავლეთით).

დასახლებული პუნქტები

ქალაქი: ბათუმი, ქობულეთი.

დაბა: მახინჯაური, ჩაქვი, ოჩხამური, ქედა, ხელვაჩაური, შუახევი, ხულო.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ისტორიული კუთხეა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებსა და ღრმა ხეობებს უჭირავს, ზღვისპირა ფართობი კი ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს. მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედებს შორის განლაგებულია აჭარის ქვაბული.

აჭარაში ფლორა და ფაუნა მრავალრიცხოვანი სახეობებით არის წარმოდგენილი.

რეგიონში მისდევენ სუბტროპიკული კულტურების, ჩაისა და ციტრუსების მოყვანას. სტრატეგიული დარგებია: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ნავთობის მრეწველობა. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ნავთობი გადის საზღვაო ტრანსპორტით სხვადასხვა ქვეყნებში..

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობა. ასევე ბუნებისა და კულტურის ძეგლები.

ციხეები: პეტრას ციხე, თამარის ციხე, გონიოს ციხე, ხირხათის ციხე, ბეგოშვილების ციხე, ცივასულას ციხე, საღორეთის ციხე, გულეების ციხე, ტაკიძეების ციხე, კავიანის ციხე, ჭვანის ციხე, იქროპილაურის ყალაბოინი, მთისუბნის ციხე, ვარდიციხე, ჩხუტუნეთის ციხე, ყოროლისთავის ციხე, ალამბრის კოშკი, ნიგაზეულის ციხე-გალავანი.

ეკლესიები: სხალთის ეკლესია, ვანაძეების ნასაყდრალი, ვერნების ეკლესია, თხილვანის ეკლესია, ცხმორისის ეკლესია, ქვახიდის სერის ეკლესია, ცხრაფონას ამალეების საყდარი, თეთროსანის ეკლესია, ქაქუთის მთავარანგელოზი, ხინოს კათედრალი.

მეჩეთები: აჰმედ ფაშას მეჩეთი, მუფტიეს მეჩეთი, ზიეს მეჩეთი, ორთა ჯამეს მეჩეთი.

ხიდები: მახოს ხიდი, მახუნცეთის ხიდი, დანდალოს ხიდი, ფურტიოს ხიდი, მიწის ხიდი, ცხემლარის ხიდი, ჩხერის ხიდი, ზვარიას ხიდი, ბასრიმელის ხიდი, ცხემვანის ხიდი, ჩამახისურის ხიდი, ჭვანის ხიდი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

ტყეებს უკავია რესპუბლიკის ფართობის 65%. ტყის მერქნული რესურსი მოიცავს წიწვოვან (ფართობი – 8753ა) და ფოთლოვან (ფართობი – 22404 ჰა) ტყეებს.

აჭარის ბუნების სიმდიდრეს ამ ტერიტორიაზე არსებული დაცული ტერიტორიები და ბუნებრივი ნაკრძალების სიმრავლეც ცხადყოფს. მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთისა და ისპანის დაცული ტერიტორიები, კინტრიშის ნაკრძალი თუ მაჭახელას ეროვნული პარკი საუკეთესო ადგილებია ეკოტურიზმის მოყვარულთათვის. აქ შესაძლებელია საწყალოსნო, ეთნოლოგიური, და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა.

აჭარის ტერიტორიაზე მოედინება 16 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 402.6 კმ-ს შეადგენს. თითქმის ყველა მდინარე შავ ზღვაში ჩაედინება.

მხოლოდ მდ. ქვაბლიანი მიეკუთვნება კასპიის ზღვის აუზს მდ.მტკვრის საშუალებით. მდინარეთა დიდ ქსელს ქმნის მდინარე ჭოროხი. ჭოროხი აჭარის ტერიტორიაზე 20 კმ მანძილზე მიედინება. მისი მთავარი შენაკადი მდინარე აჭარისწყალია, რომლის სიგრძე 90კმ–ს, ხოლო აუზის ფართობი 1540 კმ² შეადგენს.

აჭარაში უმნიშვნელო რაოდენობის ტბაა, რომლებიც არ გამოირჩევიან ზედაპირის დიდი ფართობითა და სიღრმით. მათ შორის ყველაზე დიდია მწვანე ტბა, რომელიც არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1800–2000 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ასევე აღსანიშნავია არდაგანისა და ნურის ტბები.

რეგიონი ასევე მდიდარია მიწისქვეშა და მინერალური წყლების მარაგებით.



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე განახლებადი საინვესტიციო პროექტები (29 დეკემბერი 2017 წელი)

მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგენილი სიმძლავრე (მვტ)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დაწყების თარიღი	მშენებლობის დასრულების თარიღი	ექსპლუატაციაში გაშვების თარიღი	
1	კირნათი ჰესი	შპს აჭარ ენერჯი-2007	90,000,000	აჭარა	ჭოროხი	51.25	226.39	28.02.2008	-	06.02.2012	06.02.2012	30.10.2017	31.12.2017
2	შუახევი ჰესი	შპს აჭარისწყალი ჯორჯია	400,000,000	აჭარა	აჭარისწყალი	178.00	436.50	10.06.2011	10.06.2012	31.07.2013	30.09.2013	09.11.2017	09.01.2018
3	სხალთა ჰესი	შპს აჭარისწყალი ჯორჯია	16,000,000	აჭარა	აჭარისწყალი	9.80	27.10	10.06.2011	10.06.2012	31.07.2013	09.09.2015	09.05.2020	09.07.2020
4	ოქროპილაური ჰესი	შპს ALTER ENERGY	1,300,000	აჭარა	ტბეთისწყალი	1.80	9.40	27.08.2012	-	09.10.2015	01.09.2012	10.10.2017	10.10.2017
5	გოგინაური ჰესი	შპს ALTER ENERGY	1,300,000	აჭარა	მოდულისწყალი	1.80	9.30	27.08.2012	-	09.10.2015	01.09.2012	10.10.2017	10.10.2017
6	სკურდიდი ჰესი	შპს ფშავი ჰიდრო	1,846,000	აჭარა	სკურდიდი	1.33	6.87	16.11.2015	19.03.2015	05.10.2016	05.10.2016	16.11.2017	16.11.2017

კვლევის ეტაპზე შემდგომი მშენებლობის ვალდებულებით

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მგტ.)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკური ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
7	კორომხეთი ჰესი	შპს აჭარისწყალი ჯორჯია	250,000,000	აჭარა	აჭარისწყალი	150.00	463.00	10.06.2011	10.06.2012	28.09.2016	28.10.2016	28.08.2021	28.10.2021
8	ხერთვისი ჰესი	შპს აჭარისწყალი ჯორჯია	65,000,000	აჭარა	აჭარისწყალი	65.00	239.00	10.06.2011	10.06.2012	28.09.2018	28.10.2018	28.08.2022	28.10.2022

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე

პროექტი	კომპანია	სავარაუდო ინვესტიცია (აშშ დოლარი)	რეგიონი	მდინარე	სავარაუდო დადგმული სიმძლავრე (მგტ.)	სავარაუდო წლიური გამოშვება (გვტ.სთ.)	მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულების თარიღი	მშენებლობის ნებართვის აღება	მშენებლობის დაწყება	მშენებლობის დასრულება	ექსპლუატაციაში გაშვება	
9	მაჭახელა ჰესი 1	შპს მაჭახელა ჰესი	50,000,000	აჭარა	მაჭახელა	30.00	127.00	24.07.2014	01.12.2017	-	-	-	-
10	მაჭახელა ჰესი 2	შპს მაჭახელა ჰესი	30,000,000	აჭარა	მაჭახელა	19.00	115.00	24.07.2014	01.06.2018	-	-	-	-

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.

აჭარაში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა (დაგეგმილი პროექტები)

დაგეგმილი პროექტები						
№	ჰესის დასახელება	მდინარის დასახელება	რეგიონი	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	საშუალო წლიური გამომუშავება (მლნ. კვტ.სთ.)	რეგულირების სახეობა
1	ოხი ჰესი	კინტრიში	აჭარა	11.20	43.10	მოდინებაზე
2	ხელვაჩაური ჰესი 2	ჭოროხი	აჭარა	128.93	128.99	მოდინებაზე

[პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხა](#)

გამოქვეყნებული მემორანდუმები

ხელვაჩაური 1, ხელვაჩაური 2, და კირნათიჰესი

- [ცვლილება 18.07.2012](#)
- [ცვლილება 08.07.2013](#)
- [ცვლილება 12.03.2014](#)
- [შეთანხმება 31.03.2015](#)
- [ცვლილება 07.10.2016](#)

შუახევი ჰესი / სხალთა ჰესი / ხერთვისი

ოქროპილაური ჰესი / გოგინაური ჰესი

სკურდიდი ჰესი


- [ცვლილება 21.10.2016](#)

მაჭახელა ჰესი 1


- [ცვლილება 30.06.2016](#)

მასალა აღებულია [საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.


საკადასტრო რუკები




II.3 შუახევის რაიონი
II.3 Shuakhevi district
II.3 Шуахевский район



II.5 ხელვაჩაურის რაიონი
II.5 Khelvachauri district
II.5 Хелвачаурский район





მასალა აღებულია [საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს](#) საიტიდან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა სისწორეზე.



გამოცემაზე მუშაობდნენ: მარიკა ფიროსმანაშვილი, თათული კვარაცხელია

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
საქართველო, თბილისი, სლავა მეტრეველის 4
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge